მოქალაქეობის პრობლემა საქართველოში - იურიდიული და ფაქტობრივი მხარე

დავით ლოსაბერიძე

I. შესავალი

ისტორიული სურათი

როდესაც საუბარია საქართველოში მოქალაქეობის პრობლემისადმი დამოკიდებულებაზე, ისევე როგორც ყველგან, გათვალისწინებული უნდა იყოს ორი ფაქტორი: ა) ისტორიული განვითარების პროცესი და, აქედან გამომდინარე, ბ) ტრადიციული ღირებლებების ზეგავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე. ამ უკანასკნელში იგულისხმება როგორც მოსახლეობის აზროვნების წესი, ისე თვითიდენტიფიკაციისა თუ სხვა სოციალურ თუ სხვა სახის ჯგუფებთან მიმართებაში მკვეთრად განსაზღვრული სტერეოტიპები.

ქარულმა სახელმწიფომ განვითარების პროცესში დაახლოებით იგივე გზა გაიარა, რაც მახლობელი აღმოსავლეთისა თუ ბალკანეთის რიგმა სახელმწიფოებმა (საბერძნეთი, სომხეთი, ლიბანი და ა.შ.). ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ არც ძველაღმოსავლურ, არც ანტიკურ-ელინისტურ და არც ფეოდალურ პერიოდში არ შექმნილა დასავლეთ ევროპული ტიპის ქალაქი-სახელმწიფოები თუ კომუნები. აქედან გამომდინარე, საქართველოში არ ჩამოყალიბებულა დასავლეთის საზოგადოებისათვის ესოდენ დამახასიათებელი სამოქალაქო ინტერესთა ჯგუფები ქალაქის მოსახლეობის (არისტოკრატია-დემოკრატია თუ პატრიციატი და პლებსი) სახით.

მუდმივმოქმედმა საგარეო ფაქტორმა (აღმოსავლეთის დესპოტიათა თუ აზიელ მომთაბარეთა შემოსევები), რაც განსაკუთრებით გაძლიერდა XIII საუკუნიდან, ქვეყანაში შეაჩერა ბუნებრივი განვითარების პროცესი და ვერ მოხერხდა ვერც აბსოლუტისტური მონარქიის და ვერც პარლამენტარიზმის სისტემის განვითარება - სხვადასხვა სოციალური სტრატის წარმომადგენლობითი ორგანოს დაფუძნება.

XVIII საუკუნის დასასრულს, როცა კავკასიაში განსაკუთრებით ძლიერდება რუსეთის იმპერიის გავლენა, საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა რამდენიმე, სუსტად ინსტიტუციონალიზებული ფეოდალური პოლიტიკური ერთეული, რომელთა მთავარ მიზანსაც თვითგადარჩენა და სახელმწიფოებრიობისა თუ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის (მართლმადიდებლური ქრისტიანობა) შენარჩუნება წარმოადგენდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროთა ანექსიის შედეგად, საქართველოში ყალიბდება რუსული სახელმწიფოს ჯერ სამხედრო, შემდეგ სამოქალაქო მმართველობისათვის დამახასიათებელი სოციალური გარემო.

მკვიდრი მოსახლეობა ფაქტიურად ჩამოშორდა სახელმწიფო მართვის სადავეებს. არ არსებობდა არავითარი არჩევითი და წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც მოსახლეობის ნების გამომხატველი იქნებოდა. კავკასიას არ შეხებია თვით ის ნახევრადლიბერალური რეფორმები, რომლებიც XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საკუთრივ რუსეთში განხორციელდა. რუსული თვითმპყრობელობის დამხობამდე საქართველო, როგორც იმპერიის განაპირა რეგიონი, ფაქტიურ კოლონიას წარმოადგენდა.

მოსახლეობისათვის უცხო პოლიტიკური სტრუქტურებისა და ენის შემოღებამ უარყოფითად იმოქმედა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე. ტრადიციული სამართლებრივი ინსტიტუტების გაუქმებამ საზოგადოებრივი ნიჰილიზმის წარმოქმნა-გაძლიერებას შეუწყო ხელი. ამ გარემოებას მნიშვნელოვნად აძლიერებდა თვით რუსული საზოგადოების ტოტალური უნდობლობა საკუთარი სახელმწიფოებრიობის მიმართ.

მოსახლეობისათვის დაიწყო სახელმწიფო ორგანიზმის გაუცხოების პროცესი, რაც კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა XX საუკუნეში. ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერება, საზოგადოებრივი ნდობის შემცირების ფონზე, იქცა კლიენტელური ურთიერთობების გაძლიერების მიზეზად. საქართველოში ამ ტენდენციამ თავი უკვე XIX საუკუნის ბოლოდან იჩინა და განსაკუთრებით გაძლიერდა სოციალიზმის ეპოქაში.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთში და, შესაბამისად, საქართველოშიც, წოდებრივი სახელმწიფო ტოტალიტარული წყობით შეცვალა. ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობდა ახალი

ცივილიზებული სისტემის შექმნის პირობები, კონსტიტუციური წყობის ნაცვლად იქ კომუნისტური სისტემა დამკვიდრდა.
აღნიშნული მოვლენების ფონზე საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის მცელობა (იგულისხმება 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა), მიუხედავად იმ პერიოდის მსოფლიოში ერთერთი ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებისა თუ დასავლური ყაიდის საკანონმდებლო ბაზის შექმნისა (დამფუძნებელმა კრებამ თავის არსებობის 2 წლის მანძილზე მიიღო 126 კანონი. მათ შორის აღსანიშნავია კანონები რესპუბლიკის მოქალაქეობის, ადგილობრივ ორგანოთა არჩევნების, სასამართლო სისტემის, ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის, სახალხო განათლების ორგანოების გაეროვნულების შესახებ), მარცხისათვის იყო განწირული.
საბჭოთა ტოტალიტარიზმის მთელი არსებობის მანძილზე საბჭოთა საქართველში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ფორმალურად დიდი ყურადღება ექცეოდა ადამიანის უფლებათა დაცვას. თუმცა, როგორც ცნობილია, პრაქტიკაში ეს პროცესი აბსოლუტურად საპირისპირო სახეს ღებულობდა.
საბჭოთა სისტემის არსებობის ბოლო ათწლეულებისა და *"პერესტროიკის"* ეპოქისათვის დამახასიათებელია ნომენკლატურის "ნატურალიზაციის" პროცესი. ნომენკლატურა უარს ამბობს მმართველობის აშკარად ტოტალიტარულ მეთოდებზე და ცდილობს, კორუფციის გზით უზრუნველყოს მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა. საბჭოური კლიენტელიზმისათვის მთავარი იყო არა წარმოშობა, ფინასური ან გონებრივი შესაძლებლობები, არმედ ნომენკლატურის წევრობა. ამ პერიოდში საბოლოოდ კვდება სახელმწიფოს, როგორც სოციალური კონტრაქტის პროდუქტის, იდეა.

მიმდინარე სიტუაცია
ისტორიული განვითარების პროცესის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა გარკვეული საზოგადოებრივი მენტალობა, რომელშიც ჩნდება როგორც მეზობელი კულტურებისათვის დამახასიათებელი, ისე ორიგინალური ნიშნები. საქართველოში, რომლის მოსახლეობის ცხოვრების წესი ახლოს დგას ხმელთაშუაზღვისპირეთის საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ მენტალობასთან, საბჭოურმა ტოტალიტარიზმმა ხელი შეუწყო ბიუროკრატიული სისტემისა და ტრადიციულ ღირებულებათა სიმბიოზის წარმოშობას.
ტოტალიტარული სახელმწიფო სტრუქტურების ძლიერების პირობებში, როცა რეალური, კანონისმიერი წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო, სახელმწიფოს მიერ ჩადენილი ძალადობისადმი დაპირისპირების ერთადერთ საშუალებას დისიდენტობა წარმოადგენდა. ეროვნულ რესპუბლიკებში აღნიშნული მოძრაობა ქმნიდა დასავლური დემოკრატიული ღირებებულებისა და ეთნიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩამოყალიბებული მითოსური აზროვნების ეკლექტიკურ ნარევს.
საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ხშირად ხდებოდა სახელმწიფოებრივის, ეროვნულისა და ეთნიკურის ურვთიერთგადაფარვა. ეთნიკურობის განცდა XIX საუკუნის საზოგადოებრივი მოძრაობების მითოსური აზროვნების ადეკვატური იყო.
საბჭოთა სისტემას ამ მხრივ არაფერი შეუცვლია. აღნიშნულ პერიოდში წინა პლანზე განასაკუთრებით წამოიწია პარასაზოგადოების მნიშვნელობამ - ანტისახელმწიფოებრივი აზროვნება ("ქურდული გაგება", კლანური აზროვნება, "ფულის მკეთებლობა") პიროვნებისა თუ სოციალური სტრატის პრივილეგირებულობის მაჩვენებლად იქცა.
საბჭოური სისტემის კრიზისის დაწყებისას, ისეთ პირობებში, როცა არ არსებობდა ორგანიზაციულად გაფორმებული პოლიტიკური პლურალიზმი, დისიდენტური მოძრაობა კომუნისტური რეჟიმის ერთადერთ ალტერნატივად წარმოჩნდა.
ამავე დროს, საბჭოთა კავშირის დაშლას სრულებითაც არ გამოუწვევია ნომენკლატურის აზროვნების წესის შეცვლა. ნომენკლატურულ ელიტა და მმართველობის შუა რგოლი კვლავ ძველი სტერეოტიპებით განაგრძობს საქმიანობას.
ქართულ საზოგადოებაში დღეისათვის არსებობს პატრიმონიალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა ფორმა: ნეპოტიზმი, რეგიონალიზმი (ტრაიბალიზმი), კლანიზმი, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე არსებული კლიენტელიზმი. საქართველოში არსებული კორუფციის მიზეზების გამოკვლევა ხაზს უსვამს იმ ტრადიციული ფასეულობების და ჩვევების სიცოცხლისუნარიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება თანამედროვეობის მოთხოვნებს. საქართველოში

მიმდინარეობს პოსტნომენკლატურული ინსტიტუტის პრივატიზაციისა და კლიენტელური (კერძო ან ჯგუფური) ურთიერთობების ერთადერთ მმართველ ძალად ჩამოყალიბების პროცესი.
მეორს მხრივ, მთავარ პრობლემას საზოგადოების მხრიდან ინსტიტუციონალური სისტემებისადმი ნდობის შემცირება ქმნის, ხოლო პოლიტიკურ ელიტას არ სურს აღიაროს, რომ სოციალური მოძრაობა ატარებს პოლიტიკურ საფუძველსაც.
დღეისათვის ქართულ საზოგადოებაში არ არსებობს ერთიანი მოდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი ღირებულებებისადმი. სახეზეა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ღირებულებათა კონგლომერატი და ამა თუ იმ ჯგუფის წევრობა თავისთავად ნიშნავს განსხვავებული მენტალობის არსებობას. ესა თუ ის სოციალური ფენა ქმნის თავის საკუთარ ღირებულებათა სისტემას, დაწყებული სამოქალაქო საზოგადოების ლიბერალური და დემოკრატიული აზროვნების წესიდან დამთავრებული მარგინალური ჯგუფებისათვის (ულტრანაციონალისტები, ორთოდოქსი კომუნისტები და ფანატიკოსი მართლმადიდებლები) დამახასიათებელი რადიკალური მიდგომებით ამა თუ იმ საკითხისადმი.
თუ შევეცდებით ზემოთქმულის განზოგადებას, დავინახავთ, რომ სახეზეა ორი ტენდენცია:

- პოლიტიკური თუ ეკონომიკური ელიტის მხრიდან სოციალური უფლებების გადანაწილების მცდელობა ნათესაური კლანების შექმნისა და მათთვის უფლებების გადაცემის მიმართულებით და
- უფლებების ნებისმიერი გადანაწილების აღქმა პოლიტიკური თუ ეკონომიკური უთანასწორობის გაძლიერებისაკენ მიმართულ ქმედებად მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის თვალში.

აღნიშნული ტენდენცია ძლიერდება კავზისახელმწიფოებრივი აზროვნების (უკანონო არაფორმალური ურთიერთობების პრიორიტეტი), საზოგადოების პოლიტიკური კულტურის დასავლეთთან შედარებით დაბალი დონისა და ეთნოცენტრისტული შეხედულებების დომინირების პირობებში.
როგორც პოლიტიკურ ელიტა, ისე მთლიანად ქართული საზოგადოება ფაქტიურად ჯერ კიდევ არ არის მზად შესთავაზოს ერთიანი საზოგადოებრივი მოდელი სახვადასხვა (მ.შ. უპირველეს ყოვლისა - ეთნიკურ) უმცირესობებს. ქვეყანას დღესაც არ გააჩნია ჩამოყალიბებული მიდგომა სხვადასხვა სახის უმცირესობებისადმი. მიუხედავად კონსტიტუციით დეკლარირებული პიროვნების უფლებებისა, არ არსებობს არც კანონმდებლობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ეთნიკური უმცირესობები ან გენდერი.
ფორმალიზებული პროცედურული ნორმების გაუმართაობა და ძლიერი ინტერესთა ჯგუფების არარსებობა აფერხებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობას. არაფორმალური ურთიერთობები, ინტერესთა კონფლიქტები და კორუფცია ყოველდღიური ცხოვრების ნორმას წარმოადგენს. პოლიტიკური პარტიები, ფაქტიურად, ცალკეულ პირთა მერკანტილური მიზნების მისაღწევად შექმნილ კლანურ გაერთიანებებს წარმოადგენენ. ეს ეხება როგორც მმართველ ძალებს, ისე ოპოზიციურ პოლიტიკურ გაერთიანებებსაც.
შესაბამისად მეტად დაბალია საზოგადოებრივი პოლიტიკური პროდუქტიულობა, რაც ქვეყნის განვითარების დაბალი მაჩვენებლებითაც გამოიხატება. კორუფციის გავრცელების დონის მიხედვით, Transparency International-ის შეფასებით, 99 ქვეყნიდან, სადაც ამ მოვლენის ხარსხი იზომებოდა, საქართველო 84 ადგილზე აღმოჩნდა. ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის და GDP-ის არაადექვატურად დიდ განსხვავებას ქვეყანაში რეალურად არსებულ შემოსავლებთან. ამავე დროს, ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პირობებში სისტემატურად მცირდება გადასახადების თვით შემცირებული ოდენობის ამოღება (1995 და 1999 წლებში, შესაბამისად 87 და 73 %%). სრული უმუშევრობა, სხვადასხვა მონაცემებით, 20% აღემატება. მეტად დაბალია სოციალური გარანტიების არა მარტო აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი მაჩვენებლებიც. მაგალითისათვის, თუ ევროკავშირის ქვეყნებში განათლებაზე GDP-ის 5,4% იხარჯება, საქართველოში ეს მაჩვენებელი 2,2% ტოლია, ამასთან ისედაც მცირე ბიუჯეტის მუდმივი სეკვესტრირების პირობებში ეს მაჩვენებელიც არარეალურად გამოიყურება.
ამრიგად ქვეყანაში არსებული ზოგადი ფონი ნამდვილად არ უწყობს ხელს პიროვნების თავისუფლებების სფეროში ლიბერალური სტანდარტების დამკვიდრების პროცესს.

II. მოქალაქეობის სტატუსი

საკანონმდებლო აქტივობა

მოქალაქეობის არსებული სტატუსის დახასიათებისას იურიდიული სტატუსი და ფაქტობრივი მდგომარეობა აუცილებლად ცალცალკე უნდა განვიხილოთ, ვინაიდან თანამედროვე ქართული იურისპრუდენცია საბჭოური იურიდიული სკოლისა და დასავლური კანონმდებლობის საკმაოდ უცნაურ სიმბიოზს წარმოადგენს, რომელსაც რეალობასთან ხშირად არაადექვატური დამოკიდებულება ახასიათებს. საკანონმდებლო დონეზე დეკლარირებული პრინციპები საკმაოდაა დაშორებული რეალურად არსებულ სიტუაციას.

უპირველეს ყოვლისა საკანონმდებლო ბაზის შესახებ.

1993 წლიდან მიღებულ იქნა კანონთა მთელი რიგი, რომელმაც შეცვალა მოქალაქეთა უფლებების სფეროში ადრე არსებული საკანონმდებლო სისტემა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონები ხშირად წინააღმდეგობაში მოდიან კონსტიტუციასთან, ერთმანეთთან და ზოგჯერ საკუთარ თავთანაც და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არის მიღებული მთელი რიგი ისეთი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტები, როგრიცაა კანონები ეთნიკურ უმცირესობათ, რელიგიის თავისუფლებისა და ა.შ. შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო ბაზა არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა დიდ სპექტრს. საქართველოს მოქალაქეებსა თუ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ საკმაოდ ფართო სამოქალაქო (საკუთრების, სიტყვის თავისუფლების, შრომის), პოლიტიკური (პოლიტიურ გაენთიანებათა შექმნის, საარჩევნო და ა.შ.) და სოციალური (სოციალური დაცვის, განათლების, ჯანდაცვის და ა.შ.) უფლებები.

ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია 1995 წლის აგვისტოში მიღებული საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და მოვალეობანი.

კონსტიტუციის მეორე თავის (მოქალაქეთა უფლებები) 14 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით (მუხლი 7).

საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი გააჩნიათ (მუხლი 47).

ამავე დროს კონსტიტუცია განსაზღვრავს მოქალაქეთა მოვალეობებსაც: საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები (მუხლი 44); ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა ყველა მოქალაქის ვალია (მუხლი 101) და ა.შ.

კონსტიტუციით უზრუნველყოფილია სამოქალაქო თავისუფლებანი. იგი აცხადებს აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას (მუხლი 9); სიცოცხლის უფლებას (მუხლი 15)[1]; ადამიანის პატივსა და ღირსებას (მუხლი 17); ადამიანის თავისუფლებას (მუხლი 18)[2]; სიტყვის,

---

[1] 1997 წლის 11 ნოეvბრის კანონით "სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების - სიკვდილით დასჯის სრული გაუქvების iესახებ" საქართველოiი სიკვდილით დასჯა გაუქvებულ იქნა.

[2] თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა - 9 თვეს.

აზრის, სინდისის თავისუფლებას (მუხლი 19); პირადი ცხოვრებისა და საქმიანობის და პირადი მიმოწერის, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობას (მუხლი 20); საკუთრების უფლებას (მუხლი 21)[3]; თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას (მუხლი 22); შემოქმედების თავისუფლებას (მუხლი 23); ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას და ცენზურის დაუშვებლობას (მუხლი 24); შეკრებების (მუხლი 25) და შრომის (მუხლი 30)[4] თავისუფლებას.

საქართველოს მოქალაქენი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანასწორი განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა (მუხლი 38).

მუხლი 40 ეხება უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხებს - ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით; არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას (მუხლი 41).

ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. დაცვის უფლება გარანტირებულია. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუქმედებითი ძალა არა აქვს. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან (მუხლი 42).

საქართველოს უმთავრესი კანონი მკაფიოდ აყალიბებს მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებსაც. გარანტირებულია თვითმმართველობისა (მუხლი 2) და წარმომადგენლობითი თუ პირდაპირი დემოკრატიის არსებობა - რეფერენდუმებისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით (მუხლი 5)

მუხლი 12 საგანგნბოდ ეხება მოქალაქეობის საკითხს. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში. ამავე დროს დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალურ შუღლის გაღვივებას (მუხლი 26).

საქართველოს მოქალაქეებს 18 წლის ასაკიდან ენიჭებათ პასიური, ხოლო 25 წლის ასაკიდან - აქტიური საარჩევნო უფლება (მუხლები 28 და 49).

---

[3] აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

[4] სახელმწიფო ვალდებულებას იღებს ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განსაზღვრულია კანონით.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალური უფლებების განხორციელებას: ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის (მუხლი 31); ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში (მუხლი 32); ხელს უწყობს კულტურის განვითარებას და კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას (მუხლი 34)

აღიარებულია გაფიცვისა (მუხლი 33) და განათლების (მუხლი 35) უფლებები. დაწყებითი განათლება სავალდებულოა. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას. კანონითაა დაცული დედათა და ბავშვთა უფლებები (მუხლი 36).

ყველას აქვს ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობის უფლება. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება (მუხლი 37).

სხვა საკანონმდებლო აქტებიდან უნდა აღინიშნოს კანონები:

სამოქალაქო სფეროში:

- ემიგრაციის კანონი (1993-20-07)
- იმიგრაციის კანონი (1993-27-07)
- საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ (1996-16-05)
- შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ (1997-12-06)
- იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ (1996-28-06)
- შვილად აყვანის წესის შესახებ (1997-17-10)
- არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ (1997-28-10)
- სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების - სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ (1997-11-11)
- საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ (1997-11-12)
- ლტოლვილთა შესახებ (1998-18-02)
- ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ (1999-22-06)
- პატიმრობის შესახებ (1999-22-07)
- პაციენტის უფლებების შესახებ (2000-05-05)

პოლიტიკურ სფეროში:

- საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ (1995-01-09)
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ (1995-01-09)
- რეფერენდუმის შესახებ (1996-15-05)
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (1997-31-10)
- ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების არჩევნების შესახებ (1998-25-06)

სოციალურ სფეროში:

- ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ (1995-14-06)
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ (1996-20-03)
- პროფესიული კავშირების შესახებ (1997-02-04)
- საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ (1997-17-04)
- სამედიცინო დაზღვევის შესახებ (1997-18-04)
- დაზღვევის შესახებ (1997-02-05)
- განათლების შესახებ (1997-27-06)
- ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (1997-10-12)
- არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ (1998-30-10)
- კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ (1998-30-10)
- დაწყებითო პროფესიული განათლების შესახებ (1998-09-12)
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (1999-25-06)

სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტებიდან, რომელიც უკავშირდება მოქალაქეთა იურიდიულ გარანტიებს, აღსანიშნავია კანონები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ (1996-31-01)
- კერძო არბიტრაჟის შესახებ (1997-17-04)
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997-26-06)
- სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ (1997-17-09)
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (1999-25-06)

და სხვა.

ზემოაღნიშნული იურიდიული აქტების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომელში დეკლარირებული პრინციპების აღსრულების იურიდიული მექანიზმების შექმნის უზრუნველყოფას სწორედ აღნიშნული კანონები ახორციელებენ.

ჩამოთვლილი და რამდენიმე ათეული სხვა კანონი, რომლებსაც ასევე გააჩნიათ გარკვეული შეხება მოქალაქეთა უფლებებთან, გარკვეულწილად არეგულირებენ ამ უკანასკნელს. ამავე დროს მრავალი მათგანი დეკლარაციული ხასიათისაა და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს (მაგ. კანონი ადამიანის უფლებათა დღის დაწესების შესახებ - 1998-04-02).

წინამდებარე სტატიის ფორმატის შეზღუდულობის გამო შეუძლებელია ყველა ამ კანონის თუნდაც ზოგადი მიმოხილვა, ამიტომ განვიხილავთ მხოლოდ ერთს, კანონს საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, რომელიც 1993 წლის 25 აპრილს იქნა მიღებული. ქვემოთ მოყვანილია კანონის ძირითადი პრინციპები:

კანონის 1 მუხლის ძალით საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა. საქართველოველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

საქართველოს მოქალაქედ ითვლება პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობდა ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის და პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ამ კანონის შესაბამისად (მუხლი 3).

4 მუხლის მიხედვით: საქართველოს მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, თავის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, იცავს სახელმწიფო (მუხლი 6).

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა სახელმწიფოს მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი მოვალენი არიან პატივი სცენ და დაიცვან საქართველოს კანონები, მათ გარანტირებული აქვთ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის იმის უფლება, რომ მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს მათი პირადი, ქონებრივი და სხვა უფლებათა დასაცავად (მუხლი 8).

საქართველოს მოქალაქეობის შეძენა ხდება: დაბადებით, ნატურალიზაციით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით (მუხლი 10).

საქართველოს მოქალაქედ შეიძლება მიღებულ იქნეს სრულწლოვანი უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი: რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში; რომელსაც საქართველოს რესპულიკაში აქვს სამუშაო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება (მუხლი 26)[5].

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებია საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა (მუხლი 30).

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას (მუხლი 46).

---

[5] კანონში თავდაპირველად იყო და 1996 წლის 15 ოქტომბრის შესწორებით ამოღებულ იქნა მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც მოქალაქეობის მსურველს დადგენილ ფარგლებში უნდა ცოდნოდა სახელმწიფო ენა, საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა.

ყველა ამ კანონში ჩამოთვლილი დებულებები, უფლებები და მოვალეობები საყოველთაოა. არ არსებობს რომელიმე სოციალური ფენისათვის უფლებების შეზღუდვის არავითარი იურიდიული საფუძველი.

რეალური სიტუაცია

სამწუხაროდ, ფაქტობრივი მდგომარეობა დიდად განსხვავდება ზემოაღწერილი სურათისაგან. სახელმწიფო აბსოლუტურად ვერ იცავს მოქალაქეთა უფლებებს. ეს შეეხება როგორც სოციალურ გარანტიებს, რომლებიც უმძიმესი ეკონომიური დეპრესიისა და პერმანენტული საბიუჯეტო დეფიციტის გამო ფაქტიურად ვერ ხორციელდება, ისე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებსაც, რომლებიც ძალზე ხშირად ირღვევა სახელმწიფო აპარატის (განსაკუთრებით ძალოვანი სამინისტროების) მხრიდან.

საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დარღვევა ხდება არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურების, არამედ უმრავლესობისა თუ უმცირესობის რადიკალურად განწყობილი ჯგუფების მიერაც.

ხშირად აღნიშნულ უფლებათა დამრღვევების (რადიკალები და სახელმწიფო) ინტერესები იმდენადაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, რომ ძნელდება გარჩევა, თუ რომელი ძალაა ცალკეულ შემთხვევაში უფრო დამნაშავე. თუმცა ამ უკანასკნელს დაზარალებულისათვის (მთლიანად საზოგადოება ან მისი ცალკეული ჯგუფები) პრინციპული მნიშვნელობა არც აქვს.

სამოქალაქო უფლებებიდან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევი ეთნიკურ უმრავლესობასა და უმცირესობებს შორის არსებული დაპირისპირება.

ტრადიციულად, ქართულ საზოგადოებაში გაბატონებული იყო მოსაზრება ქართველი ერის ტოლერენტობის შესახებ. რეალურად, ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭოური ტოტალიტარიზმის არსებობის პერიოდში, აღნიშნული პოსტულატის შემოწმების საშუალება არ არსებობდა. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, როცა ეთნიკურმა ავტონომიებმა, მოსკოვის მიერ წაქეზებული პოლიტიკური ძალების ხელმძღვანელობით, წამოაყენეს ავტონომიათა სტატუსის გაზრდის მოთხოვნა, ოფიციალურმა თბილისმა აბსოლუტურად ვერ გამოამჟღავნა კომპრომისებისადმი მზადყოფნა.

ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული ეთნიკურ ქართველებში ეთნოცენტრიზმის გრძნობის სიძლიერით. აღნიშნული მენტალობის რუპორებად ულტრარადიკალური ნაციონალისტური წრეები გამოდიოდნენ, მაგრამ საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში მათ საკმაო თანაგრძნობის მოპოვება შეძლეს.

მიუხედავად ცალკეული დათმობებისა (ეთნიკური აფხაზებისათვის ფაქტიურად აპარტეიდული უფლების მინიჭება საქართველოს ხელისუფლების მიერ 1991 წელს), საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ ვერ მოახერხა აფხაზ და ოს ნაციონალისტებთან საერთო ენის გამონახვა.

1990-1993 წლებში საქართველოში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები ქართული მხარის დამარცხებით დასრულდა და დღეისათვის პოლიტიკური დარეგულირების პროცესიც ფაქტიურად ჩიხშია შესული.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ საქართველოს (როგორც საზოგადოებას, ისე სახელმწიფოს) დღესაც არ გააჩნია აღნიშნული პრობლემის მოგვარების კონკრეტული სტრატეგია. როგორც წესი აპელირება ხდება "ისტორიულ სიმართლეზე" და იმაზე, რომ საქართველო ბოლოს და ბოლოს (ვადები არ კონკრეტდება) მოახერხებს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

ამავე დროს, უხეშადაა დარღვეული თვითონ ეთნიკური უმრავლესობის უფლებებიც. სეპარატისტულმა ძალებმა მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე რეალურად განახორციელეს ეთნიკური წმენდა, რისი შედეგიც იყო ამ ტერიტორიებზე მოსახლეობის კატასტროფული შემცირება (დაახ. 60%-ით) და ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მეოთხედ მილიონზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირის გაჩენა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც დაძაბულ სოციალ-ეკონომიურ ფონს.

არანაკლებ დიდ პრობლემას ქმნის ადამიანის უფლებების დარღვევის ყოველდღიური პრაქტიკა ძალოვანი და სამართალდამცავი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. ადამიანთა წამების, სასამართლოში საქმეთა არასამართლიანი სამართალწარმოების (განსაკუთრებით პოლიტიკური სახის დავათა განხილვისას) და ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქალაქეთა უფლებების უხეში დარღვევის ფაქტები, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრებისეულ ნორმას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში უნდა გამოიოს პოლიტიკური და სამოქალაქო ასპექტი.

ა) 90-იანი წლების შუახანებიდან მოყოლებული, მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებების პერმანენტული დარღვევების შედეგად, სახელმწიფო სტრუქტურებისადმი საზოგადოების ნდობის კატასტროფული შემცირება აღინიშნება, რისი მიზეზიცაა სახელმწიფო გადატრიალების (1991-1992 წწ "თბილისური ზამთარი") შემდეგ დაწყებული განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე ფენებისა თუ პირების დევნის შემთხვევები:

- ექსპრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა მშვიდობიანი მიტინგების დარბევა შეიარაღებული ძალების გამოყენებით;
- გამსახურდიას მომხრეთა თუ სხვა პოლიტიკური ოპონენტების ("მხედრიონი" და მისი ლიდერი იოსელიანი) წინააღმდეგ გამართული ხმაურიანი და მიკერძოებული სასამართლო პროცესები;
- ამ პროცესთა შედეგად პოლიტიკურ პატიმართა რიცხვის მკვეთრი ზრდა.

მატულობს პოლიციისა და სასამართლო სისტემის მხრიდან სამოქალაქო უფლებების დარღვევის მრავალი ფაქტების (წამება, სხვა სახის ზეწოლა, ამა თუ იმ კრიმინალური კლანის თუ პოლიტიკური დაჯგუფების მიერ დაკვეთილი სასამართლო პროცესები) რიცხვი. აქვე უნდა აღინიშნოს მოქალაქეთა უფლებების ხშირი დარღვევა, უპირველეს ყოვლისა პოლიციის, ხოლო შემდეგ სასამართლოსა და პროკურატურის მხრიდან.

ბ) ბოლო ხანებში წინა პლანზე წამოიწია მოქალაქეთა სოციალური (ეკონომიური) უფლებების საკითხმა. ეკონომიკის სფეროში ქვეყანაში შექმნილი მძიმე სიტუაცია და კორუფციის მასშტაბების არნახული ზრდა ხელს უშლის სახელმწიფოს დაიცვას მოქალაქეთა სოციალური გარანტიები და აძლიერებს მოსახლეობაში სოციალური დაძაბულობის ხარისხს.

თვეობით გაუცემელი ხელფასები და პენსიები, ბიუჯეტის პერმანენტული დეფიციტი და საშინაო ვალის ზრდა, ენერგეტიკული კრიზისი და სოციალური მომსახურების უკიდურესად დაბალი დონე, მომსახურების ფასების სწრაფი ზრდის პირობებში მოსახლეობის სულ უფრო და უფრო მზარდ უკმაყოფილებას იწვევს.

თუ წინა წლებში სოციალური ფაქტირი, იგივე ეთნიკურთან შედარებით, მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა, ახლა იგი სახელმწიფოს უმთავრეს პრობლემად იქცა. მოსახლეობის სტიქიური გამოსვლები და გახშირებული გაფიცვები მომავალი სოციალური კატაკლიზმებისათვის კარგ ნიადაგს ქმნის.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ პოლიტიკური მოთხოვნების სიმძაფრის შენელება გამოწვეულია არა აღნიშნული პრობლემების შემცირებით, არამედ იმით, რომ მოსახლეობამ დაკარგა კანონიერი გზით თავითანთი უფლებების დაცვის იმედი და რიგითი მოქალაქე მის წინაშე არსებული დაბრკოლებების გადალახვას კლანურ-კორუმპირებულ სისტემაში და პატრიმონიალურ ურთიერთობებში ჩართვით ცდილობს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თეზისი იმის შესახებ, რომ საქართველოს კანონონმდებლობით დეკლარილებული უფლებები ყველა მოქალაქეზე ვრცელდება, საკმაოდ საკამათოდ გამოიყურება.

III. დისკუსიები მოქალაქეობის შესახებ

როგორია საზოგადოების რეაქცია აღნიშნულ საკითხებზე?
გამომდინარე როგორც პოლიტიკური გათვითცნობიერების დონიდან, ისე არსებული სიტუაციის მეტისმეტად პესიმისტური გააზრებიდან, საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას სრულებით არ გააჩნია იმის ილუზია, რომ შესაძლებელია დღის წესრიგში მდგომი პრობლემების გადაწყვეტა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. რიგითი მოქალაქე ეძებს შემოვლით გზებს იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მისი სასიცოცხლო ინტერესები.
დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში კვლავ აგრძელებს არსებობას არაფორმალური, პარალელური, კვაზი სახელმწიფო. ურთიერთობების ყველა სფეროს განსაზღვრავს არა ოფიციალური კანონმდებლობა, რომელიც მცირე ლეგიტიმურობით სარგებლობს და რომელიც დასავლეთის (იგულისხმე - დონორების) დასანახადაა შექმნილი, არამედ არაფორმალური ურთიერთობების საკმაოდ ინსტიტუციონალიზებული სისტემა.
აღნიშნული სისტემა წარმოადგენს ცალკეული ინდივიდის თავდაცვის მძლავრ მექანიზმს, რომელიც მოქალაქეს იცავს არა დასავლური საზოგადოების დეფინიციებში განმარტებული საგარეო თუ საშინაო საფრთხეებისაგან, არამედ საკუთარი სახელმწიფოსა თუ საკუთარი თავისაგან.
აღნიშნული ურთიერთობების დამარეგულირებლად გვევლინება იდენტობის განსაკუთრებული მექანიზმები, რომლის ფორმირებაში უმთავრეს როლს თამაშობს ნათლად განსაზღვრული სტერეოტიპების სისტემა.
ასე რომ იურიდიულად არსებული სახელმწიფოს პრობლემა მდგომარეობს საკუთარი მოქალაქეების მიერ მის არცნობაში (არალეგიტიმურობაში), რაც სამოქალაქო საზოგადოების თუ თანამედროვე სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში მოქალაქეთა თვითიდენტიფიკაციის კრიზისში გამ.ოიხატება. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავს თვლის არა ერთიანი მთელის (სახელმწიფოს) შემადგენელ ნაწილად, არამედ ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენლად. ასეთ ჯგუფებს შეიძლება მივაკუთვნოთ სხვადასხვა:

- სოციალური სტრატა (ლტოლვილები, მათხოვრები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, უმუშევრები და სხვ.),
- ეთნიკური თუ სუბეთნიკური ჯგუფი (სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, მეგრელები, აჭარლები და ა.შ.),
- კლანი (არალეგალური ეკონომიკური თუ სოციალური მოგების მისაღებად გაერთიანებული ადამიანთა ერთობლიობა, პოლიტიკური პარტიის თუ ბიზნესჯგუფის სახით),
- კორპორაციული გაერთიანება (პოლიციელები, სახელმწიფო მოხელენი, მმართველი პარტიის თუ ოპოზიციის წარმომადგენლები).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არის აუცილებელი, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დებატები გაიმართოს ყველგან, სადაც ეს აუცილებელია. არაფორმალური კავშორები, რომლებიც არეგულირებენ მთელ სისტემას (კორუფციისა თუ კლიენტელური ურთიერთობების სახით), გამორიცხვაენ პრობლემის სააშკარაოზე გამოტანის აუცილებლობას.
დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოთ, რომ მიუხედავად მძიმე სოციალური ფონისა, საქართველოში არ დაწყებულა სოციალური მღელვარებების სერია, მაგრამ ამას თავისი მიზეზები გააჩნია, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.
რა თქმა უნდა აღნიშნული ურთიერთობები ვერ მოიცავს ყველა მოქალაქეს და ცხოვრების ყველა სფეროს. ამით უნდა აიხსნას ის მღელვარებები, რომლებიც მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობის მონაწილეობით იწყება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მოსახლეობის სპონტანური გამოსვლები ელექტროენერგიის მიწოდებასთან, ხელფასების თუ პენსიების გაზრდასთან დაკავშირებით, ცალკეულ დაწესებულებათა თანამშრომლების მიერ ორგანიზებული გაფიცვები და პიკეტები თბილისში და რეგიონებში და ა.შ.
ასეთივე აქციების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ბირთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მას მედიის წარმომადგენელთა აქციები.
ყველა ამ მღელვარებას ახასიათებს საერთო ნიშნები - ისინი სუსტად არიან ორგანიზებულნი, მათში მონაწილეთა რიცხვი მცირეა, ხოლო შედეგი კი ნულოვანი.

ამავე დროს არ შეიძლება ითქვას, რომ დებატები საზოგადოებისათვის საინტერესო თემებზე საერთოდ არ მიმდინარეობს. უფრო მეტიც, ხშირად ეს დებატები საკმაოდ მწვავე ხასიათს ღებულობს. ამ დებატებში ნაკლებად მახვილდება ყურადღება სოციალურ უფლებებზე. უმთავრესად ეს დებატები შეეხება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ან რეალიზების საკითხებს.

საქართველოში მოქალაქეობის პრობლემებთან დაკავშირებული დებატებიდან, რომლებმაც გარკვეული რეზონანსი ჰპოვეს საზოგადოებაში, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. დებატები სამოქალაქო უფლებების სფეროში:
   - საქართველოს მოქალაქის პასპორტში ეთნიკურობის აღმნიშვნელი გრაფის შეტანის საკითხთან დაკავშირებით;
   - საზოგადოების დამოკიდებულება რადიკალ მართლმადიდებელთა და საქართველოში არსებულ ზოგიერთ რელიგიურ სექტასა თუ კონფესიას შორის (იეღოვას მოწმეები, ბაპტისტები) არსებული მწვავე დაპირისპირებისადმი;
   - რეაქცია რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებულ საქართველოსთან ცალმხრივად სავიზო რეჟიმის შემოღების გადაწყვეტილებაზე;
   - სტალინურ პერიოდში (მეორე მსოფლიო ომის წლები) საქართველოდან დეპორტირებული თურქი მესხების რეპატრიაციის შესაძლებლობების შესახებ.
2. დებატები მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების სფეროში:
   - ჩივილები 1992 წლიდან მოყოლებული საქართველოში ჩატარებული ყველა არჩევნების მმართველი პარტიის სასარგებლოდ ფალსიფიცირებასა და ძალოვანი სტრუქტურების (ძირითადად პოლიციის) საარჩევნო პროცედურებში უხეშ ჩარევაზე;
   - იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიცემის საკითხთან დაკავშირებით;
   - დებატები მომავალში საქართველოს ტერიტორიული მოწყობის მოდელის შერჩევაზე, რაც გამოიწვია ადგილობრივი თვითმმართველობის კანონში შესწორებების შეტანის მცდელობამ;
   - მსოფლმხედველობრივი ხასიათის დებატები, რაც დაკავშირებულია საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის არჩევის საკითხთთან და პრორუსული და პროდასავლური ძალების დაპირისპირებაში გამოიხატება.

თითოეული ეს საკითხი ქვემოთ ცალცალკე იქნება განხილული. ამჟამად გამოვყოფ იმ ნიშნებს, რაც ფაქტიურად ყველა ამ დისკუსიას ახასიათებს.

უპირველეს ყოვლისა, მოქმედი მხარეების შესახებ. როგორც ითქვა, დებატებში ძირითადად მონაწილეობენ სამოქალაქო სექტორი და პოლიტიკური ძალები, სამთავრობო სტრუქტურებისა თუ პოლიტიკური პარტიების სახით. ამავე დროს ყველაზე მწავე დებატებში გამოიკვეთა პოლიტიკურ ავანტიურისტთა მნიშვნელოვანი როლიც, რომლებიც ტრადიციული ღირებულებების დაცვის ლოზუნგით საზოგადოების ლუმპენიზებული ნაწილის გრძნობებზე მანიპულირებენ პოლიტიკური დივიდენდებისა თუ ეკონომიური სარგებლის მოპოვების მიზნით.

დისკუსიები მიმდინარეობს საკმაოდ გახსნილ ვითარებაში. მას მედია (როგორც თავისუფალი, ისე სახელმწიფო) მნიშვნელოვან დროს უთმობს აღნიშნული დისპუტების გაშუქებას. ამავე დროს დებატები ხშირად მიმდინარეობს ძალადობის ესკალაციისა და საზოგადოებრივი ისტერიის ფონზე (მოწინააღმდეგე რელიგიურ დაჯგუფებათა დარბევები, საპროტესტო აქციები და პროტესტის ნიშნად მოწყობილი შიმშილობები).

მიუხედავად პოზიციათა დაფიქსირების საკმაოდ შეუზღუდავი უფლებისა, ხშირია არა კამათი დადებითი და უარყოფითი არგუმენტების მოშველიებით, არამედ მონაწილე მხარეების ურთიერთბრალდებები. როგორც წესი, ეთნიკური პოზიციის დამცველები ლიბერალებს ადანაშაულებენ საქართველოს ინტერესების შელახვის მცდელობაში და ოპონენტებს დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ დაქირავებულ აგენტებად, ან სულ მცირე "ანტიქართული ძალების" (მასონები და ა.შ.) მიერ მოტყუებულ პირებად მიიჩნევენ. თავის მხრივ ტრადიციული ღირებულებების დამცველთ პროდასავლურად და ლიბერალურად განწყობილი ძალები ხშირად დებენ ბრალს ფაშიზმისა თუ ნაცისტური იდეების პროპაგანდაში და მათ ან შუასაუკუნეობრივი მენტალობის მქონე ადამიანებად, ან რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებად მიიჩნევენ.

დებატებში ძირითადად მონაწილეობენ თბილისში მცხოვრები ინტელექტუალები და პოლიტიკური მოღვაწეები. რეგიონის წარმომადგენელთა ხვედრითი წილი ამ შემთხვევაში მცირეა, თუ არ ჩავთვლით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც

საკმაოდ აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ხასიათის დებატებში და ოპონირებამს უწევენ მმართველ პარტიას.
საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში აჭარის დედაქალაქი ბათუმი ქვეყნის მეორე პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცა. ფაქტიურად, თავისუფლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ ორ პოლიტიკურ დაჯგუფებაზე (თბილისური და ბათუმური ალიანსები, ანუ, როგორც მას მედიაში ხშირად ისმის - კლანები), რომელთა მმართველობის სტილიც მეტნაკლებად საერთოა (თუმცა გარკვეულწილად განსხვავებული დემოკრატიულობის ხარისხით) და რომლებიც ძალაუფლებისათვის ებრძვიან ერთმანეთს.
ამავე დროს დებატებში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურ, რელიგიურ თუ პოლიტიკურ უმრავლესობას მიეკუთვნება. ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების როლი აქ არ ჩანს, ხოლო ამ უკანასკნელთა უფლებებს ისევ უმრავლესობის ლიბერალურად განწყობილი ფრთა იცავს.
თვით უმრავლესობაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა როგორც ზოგადი ღირებულებებისადმი, ისე ცალკეული საკითხებისადმი. რაც შეეხება ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას, რომელიც ძირითადად საბჭოური მენტალობის მქონე ნომენკლატურისა და მათთან დაკავშირებული მაფიოზური თუ სხვა სახის კლანებისაგან შედგება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ სრული მსოფლმხედველობრივი გაურკვევლობაა გამეფებული. დღევანდელ ქართულ მმართველ კლასში არ არსებობს ერთიანი სტრატეგია იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით და როგორ უნდა წარიმართოს ქვეყნის შემდგომი განვითარების პროცესი. როგორც წესი ხელისუფლება მხოლოდ პოსტ ფაქტუმ რეაგირებს მოვლენებზე და სხვადასხვა ინტერესებს შორის ლავირებას ე.წ. "დაბალანსების პოლიტიკის" საშუალებით ახორციელებს.
ამავე დროს, არ შეიძლება სრულებით გამოირიცხოს პოლიტიკურ დებატებში უმცირესობათა მონაწილეობა. თუ უმცირესობანი ძირითადად ლოდინის ტაქტიკას მიმართავენ, განსხვავებული სტიუაციაა ზოგიერთ რეგიონში, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით არიან დასახლებულნი.
ამ ანკლავთა შორის, უპირველეს ყოვლისა, თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთის მდებარე ჯავახეთის რეგიონი უნდა აღინიშნოს, რომელიც საქართველო-სომხეთის საზღვართან მდებარეობს და რომლის მოსახლეობის 90%-ზე მეტს ეთნიკური სომხები შეადგენენ. ამ რეგიონში არსებობს საკმაოდ ძლიერი ეთნიკურ-სეპარატისტული მოძორაობა, რომელსაც სათავეში რადიკალურად განწყობილი ნაციონალისტები და საბჭოური ტიპის ადგილობრივი ნომენკლატურა უდგას. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 6 მუხლი კრძალავს რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით პოლიტიკური პარტიის შექმნას, ამ რეგიონში რამდენიმე წელია მოქმედებენ ეთნიკური ნიშნით შექმნილი რეგიონალური პოლიტიკური მოძრაობები "ჯავაკხი" და "ვირქი", რომელთა საქმიანობაც სომხური ეთნოცენტრიზმის ნიშნებს ატარებს და აშკარად გამოხატული ანტიქართული პოლიტიკური ორიენტაცია ახასიათებს.
ისევე როგორც მთელ სექართველოში, მძიმე სოციალური ფონი და მასზე აპელირება კარგ ნიადაგს ქმნის ეთნოცენტრისტული რადიკალიზმის გასაღვივებლად.
საქართველოს სხვა ეთნიკური ანკლავები, მიუხედავად არსებული ცალკეული ექსცესებისა, ბოლო დრომდე შედარებით სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ. ბოლო ხანებში იძაბება სიტუაცია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში, პანკისის ხეობაში, რომელიც კომპაქტურადაა დასახლებული ქისტებით (ჩეჩნური სუბეთნოსი). რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის ფონზე ეს მხარე საბოლოოდ მოექცა კრიმინალური დაჯგუფებების გავლენის ქვეშ და კავკასიაში ნარკობიზნესისა და კიდნეპინგის ერთერთ უმსხვილეს ცენტრს წარმოადგენს.
უშუალოდ მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხებთან ამ ტერიტორიებს იმდენად გააჩნიათ შეხება, რამდენადაც აქ ყველაზე უფრო მძიმე ფორმებში ხდება ადამიანთა სამოქალაქო, პოლიტიკური თუ სოციალური უფლებების ხელყოფა.

IV. დებატები დღეისათვის არსებული ცალკეული სფეროების მიხედვით

ახლა კონკრეტულად საზოგადოებაში მიმდინარე მოქალაქეობის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხების გარშემო გამართული დებატების შესახებ.

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ეროვნებათაშორის ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის სიმწვავე.

რადიკალური ეთნოცენტრისტული მენტალობის მაგალითად გამოდგება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში ეთნიკური კუთვნილების აღმნიშვნელი გრაფის არსებობის საკითხი.

აღნიშნულმა პრობლემამ თავი იჩინა 2000 წლის ზაფხულში, როდესაც პარლამენტში განიხილებოდა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის საკითხი. პარლამენტის ლიბერალური დაჯგუფებები შეეცადნენ, საქართველს ყველა მცხოვრებისათვის მიენიჭებინათ საქართველოს მოქალაქის ერთიანი სტატუსი, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა.

საკმაოდ მოულოდნელად, ამ საკითხმა დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია არა ეთნიკურ უმცირესობების, არამედ საზოგადოების ქართული უმრავლესობის მხრიდან. ზოგიერთმა საზოგადოებრივმა მოღვაწემ (პროფესორი გურამ შარაძე, მწერალი რევაზ მიშველაძე), რომლებიც მოსახლეობის მარგინალიზებული ნაწილის მხარდაჭერას ეყრდნობოდნენ, წამოაყენეს ქართული გენოფონდის უცხო ეთნიკური გავლენისაგან დაცვის ლოზუნგი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ამ პრობლემის გარშემო გამართული დებატები იმით დასრულდა, რომ ეთნიკურობის აღმნიშვნელი გრაფა პირადობის მოწმობაში შენარჩუნებულ იქნა. საქართველოს პრეზიდენტმა, რომელსაც არ სურდა საზოგადოებაში თავის შელახული რეიტინგის კიდევ უფრო შემცირება, იმ მოტივით, რომ ეთნიკურობის აღმნიშვნელი ჩანაწერის გაუქმება გაართულებდა სეპარატისტულ რეჟიმებთან (აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთი) მოლაპარაკებებს, მხარი ნაციონალისტებს დაუჭირა.

აღნიშნული საკითხი ამჟამადაც ღიად რჩება და საზოგადოებრივი ინტერესის სფეროშია მოქცეული. გამომდინარე ერიოვნული კუთვნილების განმსაზღვრელი არსებული სტერეოტიპებიდან, მოსახლეობის დიდ ნაწილი ეთნიკურობას ანიჭებს უპირატესობას საერთო მოქალაქეობასთან შედარებით.

2. ცალკე უნდა გამოიყოს რელიგიის თავისუფლების პრობლემა.

საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს რა ყველა რელიგიის თანასწორობას, ამავე დროს აღიარებს ქართული მართმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს. საზოგადოებაში 80-იანი წლების ბოლოდან დაწყებული რელიგიის გავლენის გაძლიერების პროცესი სულ უფრო და უფრო ძლიერდება.

ამავე დროს ძლიერდება მართმადიდებლური ეკლესიის კონსერვატული ნაწილის პოზიციებიც. დღეს საქართველოში უკვე სახელმწიფო დონეზე გაისმის საუბარი მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონკორდატის დადების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

ბოლო წლებში შეინიშნება რადიკალური ორთოდოქსული მიმდინარეობების გააქტიურება საქართველოში როგორც უკანასკნელ ათწლეულში გაჩენილი, ისე მანამდე არსებული სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენელთა (ბაპტისტები, კრიშნაიტები) წინააღმდეგ.

განსაკუთრებით ძლიერი დაპირისპირებაა რადიკალ ორთოდოქსებსა და იეღოვას მოწმეთა შორის. ბოლო ორი წლის მანძილზე მოხდა იეღოველთა რამდენიმე დარბევა, ხოლო ამ სექტის წინააღმდეგ მოწყობილმა რამდენიმე სასმართლო პროცესმა სკანდალური ფორმა მიიღო.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ნაწილში, მესამე სექტორსა და მას მედიაში არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ორთოდოქს რადიკალებს კონსერვატიული ძალები (კერძოდ პოლიცია და უშიშროების სამსახური) უწევენ მფარველობას, რათა საზოგადოების ყურადღება უთრო მტკივნეული პრობლემებისაგან ჩამოაცილონ.

საზოგადოების სიმპატიები რადიკალ მართლმადიდებელთა და საქართველოში არსებულ ზოგიერთ რელიგიურ სექტასა თუ კონფესიას შორის (იეღოვას მოწმეები, ბაპტისტები) არსებული მწვავე დაპირისპირებისას უმეტესწილად რადიკალ მართლმადიდებლებისაკენ იხრება.

ამ გარემოებას ხელს უწყობს ისიც, რომ საქართველოს მართლმადიდებლურმა სამოციქულო ეკლესიას (რომლის გავლენა მოსახლეობაში დღითიდღე იზრდება), რომელმაც დაგმო ნებისმიერი ძალადობის აქტი სხვა რელიგიათა წარმომადგენლების მიმართ და ეკლესიიდან განკვეთა რადიკალთა ერთერთი

ლიდერი მამა ბასილი მკალავიშვილი, გადაჭრით მაინც არ გაულაშქრია ძალადობის კონკრეტული ფაქტების წინააღმდეგ.
3. ასევე მწვავეა დისკუსია სტალინურ პერიოდში (მეორე მსოფლიო ომის წლები) საქართველოდან დეპორტირებული თურქი მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემა 80-იანი წლების შუახანებიდან იჩენს თავს და პერმანენტულ ხასიათს იძენს.
თურქი მესხები 1944 წელს იქნენ გასახლებულნი საქართველოს სამხრეთ, თურქეთის მოსაზღვრე რეგიონებიდან. მათ ბრალად ედებოდათ პროგერმანულად განწყობილი თურქეთის მხარდაჭერა. პერესტროიკის ბოლო წლებში (1987-1988) უზბეკეთში, სადაც თურქი მესხები კომპაქტურად იყვნენ განსახლებულნი, დაწყებულმა ეთნიკურმა დაპირისპირებამ აღნიშნული ეთნოსი აიძულა დაეტოვებინა შუა აზიის რეგიონი. მათი დიდი ნაწილი თვითიდენტიფიცირებას თურქებთან ახდენს, მცირე ნაწილი კი თავს მუსლიმან ქართველებთან აიგივებს.
თურქი მესხების ჯგუფები დღეისათვის კოპაქტურად არიან ჩასახლებულნი რუსეთის ფედერაციის ჩრდილო კავკასიურ რეგიონებში და აზერბაიჯანში და საქართველოში თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უპირობო დაბრუნებას ითხოვენ.
მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ევროსაბჭოში შესვლისას ვალდებულება აიღო, მოაგვაროს რეპრესირებული ეთნოსის რეპატრიაციის პრობლემა, საზოგადოებაში (და განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობაში) ამ საკითხს აშკარად ნეგატიურად უყურებენ. ეს, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს რადიკალურ ჯგუფებს, მნიშვნელოვნად გაზარდონ თავიანთი რეიტინგი პრობლემასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ისტერიის გაზრდის გზით.
საქართველოს ხელისუფლებაშიც არ არის ერთიანი პოზიცია ხსენებული ეთნიკური ჯგუფის რეპატრიაციასთან დაკავშირებით. არსებობს მოსაზრება, რომ თურქი მესხები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იქნენ განსახლებულნი, რათა მათმა ერთად თავმოყრამ არ შექმნას ახალი ეთნოდაძაბულობის კერის აღმოცენების საფრთხე. სერიოზული ეჭვი გამოითქმება მათ რაოდენობასთან დაკავშირებითაც. ოფიციალური მონაცემებით, გადასახლების ადგილზე 1944 წელს თურქი მესხები 50 ათ. კაცზე ნაკლებს შეადგენდნენ, ამჟამად მათ შთამომავლად თავს 300 ათ. ადამიანი მიიჩნევს. ნაციონალისტთა მიერ გამოითქმება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თურქი მესხების სახელის გამოყენებით საქართველოში განხორციელდება ფართო ეთნიკური აგრესია.
თუ დედაქალაქის მას მედიაში ამ საკითხის შესახებ კამათი დასაშვებ ნორმებს არ სცილდება, განსხვავებული მდგომარეობაა სამხრეთ საქართველოში. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი (ქრისტიანი ქართველები), რომელთა წინაპრებსაც XIX საუკუნიდან მოყოლებული (და განსაკუთრებით I მსოფლიო ომის წლებში) შეიარაღებული კონფლიქტი ჰქონდათ თურქ მესხებთან, საერთოდ მიუღებლად მიიჩნევს ამ უკანასკნელთა დაბრუნების ყოველგვარ შესაძლებლობას. ახალციხის რეგიონში ამ საკითხზე საუბარიც კი ნებისმიერ ადამიანს ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ფიზიკური შეურაცყოფის ფასად შეიძლება დაუჯდეს.
4. საქართველში მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების დარღვევის და ამასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მწვავე რეაქციის მაგალითს წარმოადგენს საქართველოში 1992 წლიდან ჩატარებული უკლებლივ ყველა არჩევნების შედეგების ფალსიფიცირება (ამომრჩეველთა დაშინება თუ მოსყიდვა, ყალბი დოკუმენტაციის შედგენა და არჩევნების შედეგების ძალდატანებითი შეცვლა) და ოპოზიციური პარტიების მხრიდან ამ მოვლენის მკვეთრად უარყოფითი შეფასება. მას მედიის საშუალებებში ხშირად ისმის ჩივილი მმართველი პარტიის სასარგებლოდ ფალსიფიცირებასა და ძალოვანი სტრუქტურების (ძირითადად პოლიციის) საარჩევნო პროცედურებში უხეშ ჩარევასთან დაკავშირებით.
მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში საერთაშორისო ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებან არჩევნების პროცესში სულ უფრო და უფრო მზარდ გაყალბების ფაქტებზე, საქართველოს ხელისუფლება, რომელიც სწორედ აღნიშნული არჩევნების გზითაა მოსული მმართველობის სათავეში, რეალურად არავითარ ზომებს არ იღებს აღნიშნული დარღვევების თავიდან ასაცილებლად.
დასასრულ, კიდევ ერთი შენიშვნა აღნიშნულ საკითხზე დისკუსიებთან დაკავშირებით. კამათს აღნიშნულ საკითხზე აწარმოებენ მხოლოდ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და ის საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული საარჩევნო პროცესებში, როგორც მონაწილენი ან დამოუკიდებელი დამკვირვებლები.

რაც შეეხება მოსახლეობის ფართო ფენებს, მათ უკვე საერთოდ აღარ გააჩნიათ ინტერესი არჩევნების მიმართ, ვინაიდან დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ნების გამოხატვა არვითარ გავლენას არ მოახდენს არჩევნების შედეგზე. ამით აიხსნება მოსახლეობის იმ ნაწილის რიცხვის ზრდა, რომლებიც საერთოდ არ მიდის არც ერთი სახის არჩევნებზე. ეს კი თავის მხრივ, საშუალებას აძლევს ხელისუფლებას, გამოიყენოს არმოსულთა ბიულეტენები თავის სასარგებლოდ და გიდევ უფრო გააყალბოს საბოლოო შედეგები.

5. მიმდინარე წელი ქართული საზოგადოებისათვის კიდევ ერთი პრობლემის წინწამოწევით და მის შესახებ გამართული დებატებით აღინიშნა. რუსეთის ხელისუფლების მიერ ცალმხრივად მიღებულმა გადაწყვეტილებამ საქართველო-რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე საზოგადოების მძაფრი რეაქცია გამოიწვია.

90-იან წლებში, საბჭოთა ეკონომიკური სივრცის დანგრევის შემდეგ საქართველოში, რომლის ეკონომიკაც საბჭოთა ბაზარზე იყო ორიენტირებული, ფაქტიურად ეკონომიკური ქაოსი დაიწყო. ტოტალურმა უმუშევრობამ, ისევე როგორც არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ქვეყნიდან მოსახლეობის ემიგრაციას შეუწყო ხელი.

იმის გამო, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა არ ჩატარებულა, სტატისტიკას არ გააჩნია ზუსტი მონაცემები ემიგრირებულთა ოდენობის შესახებ. სხვადასხვა წყაროს მიხედვით ,ეს რიცხვი 500 ათ-დან 1,5 მლნ-მდე მერყეობს. ემიგრირებულთა უმთავრესი მასა რუსეთში, ძირითადად დიდ ქალაქებში (კერძოდ: მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი) არის თავმოყრილი. რუსეთში დროებით ან მუდმივად მცხოვრებ პირთა მიერ საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრთათვის გადმორიცხული თანხები ბევრი მოქალაქისათვის არსებობის ერთადერთ საშუალებას შეადგენს.

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური აქტივობისათვის რუსეთში უფრო მეტი შესაძლებლობაა, ვიდრე საქართველოში, კავკასიური წარმოშობის პირებისათვის რუსეთში ცხოვრება საკმაოდ ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. რუსეთის მოსახლეობის ულტრანაციონალისტურად განწყობილი ნაწილი, რომელსაც პოლიტიკურ ელიტაში და სახელმწიფო აპარატში მნიშვნელოვანი დასაყრდენი გააჩნია, თანდათან აძლიერებს კავკასიელთა შევიწროების პოლიტიკას.

რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა ეს დაძაბულობა. კავკასიელთა წინააღმდეგ მიმართულმა ქმედებებმა ფაქტობრივად მეორე მსოფლიო ომის წინანდელ გერმანიაში არსებული ანტისემიტური ისტერიის სახე მიიღო. ქუჩაში თუ ბინებში მოწყობილი ჩხრეკვების, უსანქციო დაპატიმრებების, საცხოვრებელი ადგილებიდან უმიზეზოდ იძულებითი წესით გასხლების შემთხვევებმა იმატა. ქართული საზოგადოების უმეტესობა ამ მოვლენას მეტად მტკივნეულად აღიქვამდა, მით უმეტეს, რომ ეს მათი ახლობლების და, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის წევრების პირად უსაფრთხოებასთან იყო დაკავშირებული.

რუსეთის მხრიდან ანტიქართული ქმედებების ბოლო აკორდს წარმოადგენდა 2000 წლის 10 დეკემბრიდან ცალმხრივი წესით საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღება. აღნიშნულმა ქმედებამ კიდევ უფრო დაამძიმა რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობა.

ქართული მას მედიის, ისევე როგორც მოსახლეობის მიერ, ეს ნაბიჯი შეფასებულ იქნა, როგორც რუსეთის იმპერიული ძალების მიერ განხორციელებული დამსჯელი აქტი საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს თავისი ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას და თანდათანობით შორდება რუსული პოლიტიკური გავლენის სფეროს.

საქართველოს მოსახლეობის ამ განწყობას იზიარებს საქართველოს ხელისუფლებაც და ოფიციალური განცხადებებით გმობს ამგვარ პოლიტიკას, თუმცა არსებული პრობლემის დასაძლევად მთავრობის მხრიდან არავითარი არსებითი ნაბიჯები არ ყოფილა გადადგმული.

6. წინა პუნქტში მოცემულმა პრობლემამ გააქტიურა ჯერ კიდევ სახელმწიფო გადატრიალების (1991-1992 წლების მიჯნა) შემდეგ დაწყებული პოლიტიკური დებატები საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის არჩევის სისწორის საკითხთთან დაკავშირებით. ეს დებატები პრორუსული და პროდასავლური ძალების დაპირისპირებაში გამოიხატება.

რუსეთის მხრიდან საქართველოზე განხორციელებული ზეწოლის (სავიზო რეჟიმის შემოღება, ენერგომატარებლების მოწოდების უმიზეზო შეჩერებები და ა.შ.) შედეგად მოსახლეობის ცალკეულ ფენებში შეინიშნება პრორუსული ორიენტაციის ზრდა.

გარკვეული პოლიტიკური ძალები (კომუნისტები, ყოფილი საბჭოთა ნომენკლატური ნაწილი და ა.შ.), რომელთა პოპულარობის მნიშვნელოვანი ზრდაც შეიმჩნევა ბოლო 2 წლის მანძილზე, მოითხოვენ რუსეთის მიმართ უფრო დამთმობი პოლიტიკის გატარებას (რუსული სამხედრო ბაზების შენარჩუნება საქართველოს ტერიტორიაზე, პროდასავლურ პოლიტიკურ კურსზე უარის თქმა, საქართველოს შესვლა რუსეთ-ბელორუსიის ეკონომიკურ კავშირში, საქართველოს მიერ სსრკ-ს დაშლის შემდეგ ქვეყნისათვის განსაზღვრულ ქონებაზე უარის თქმა) თუნდაც სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ.

აღნიშნული ტენდენცია საკმაო თანგრძნობას პოულობს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. ამ მოვლენას, გარდა ზემოხსენებულისა, სხვა მიზეზებიც გააჩნია:

- მოსახლეობის უკმაყოფილება არსებული ხელისუფლებისადმი არაპირდაპირ გადადის დასავლეთზეც. დასავლეთის დიპლომატიური წრეების თუ არაოფიციალური პირების განცხადებები იმის შესახებ, რომ ისინი მხარს უჭერენ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ კურსს, მოსახლეობაში აღიქმევა, როგორც დასავლეთის დემოკრატიის მიერ უუნარო, კორუმპირებული და ავტორიტარული რეჟიმის მხარდაჭერა. ეს გარემოება, ერთის მხრივ, ლახავს დასავლეთის პოლიტიკურ იმიჯს საქართველოს მოსახლეობის თვალში, ხოლო მეორეს მხრივ, იწვევს ანტიდასავლური განწყობის ზრდას;
- სოცალურად ორიენტირებული სახელმწიფოს დაშლამ (სსრკ) და მძიმე სოციალურმა თუ ეკონომიკურმა სიტუაციამ ყოფილ საბჭოთა მოქალაქეებს გაუძლიერა წარსულისდმი ნოსტალგიის გრძნობა. მართალია, სსრკ-ს რესტავრაციის შესაძლებლობას ცალკეული მცირერიცხოვანი ჯგუფების (უფროსი ასაკის სტალინისტები და რადიკალი კომუნისტები) გარდა, ყველა სკეპტიკურად უყურებს და ეს არც სურთ, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერდება ტრადიციული ღირებულებების დამცველთა პოზიციები. დასავლეთის ნებისმიერ ქმედებაში (მსოფლიო ბანკის თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობა, დასავლეთის მიერ საქართველოსათვის მიცემული კრედიტები, რომელიც არამიზნობრივად იქნა დახარჯული და რომლის დაფარვაც მოსახლეობას ხარჯზე მოხდება) ქართველი ობივატელი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებების ნიშნებს ხედავს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ ნათელი ხდება, რომ ანტიდასავლური განწყობებისა და ნაციონალისტური გრძნობების გაძლიერების პროცესი საქართველოში აღმავლობის გზით მიმდინარეობს.

7. 2001 წლის გაზაფხულზე ჯერ პოლიტიკურ წრეებში, ხოლო შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებში დაიწყო დებატები საქართველოს მომავალი ტერიტორიული მოწყობის მოდელის შერჩევაზე, რაც მმართველი პარტიის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კანონში შესწორებების შეტანის მცდელობამ გამოიწვია.

ახალი კანონპროექტი უკანგადადგულ ნაბიჯად იქნა მიჩნეული თვით 1997 წლის კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული, საკმაოდ შეზღუდული უფლებების მქონე თვითმმართველობის სისტემასთან შედარებითაც კი. საქართვეოლს ევროსაბჭოში გაწევრიანების დროს (1999 თებერვალი) ერთერთ პირობად ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ნაწილის (გამგებლები, დიდი ქალაქების მერები) არჩევითობის პრინციპზე გადასვლა იყო წამოყენებული.

მთავრობის ახალი კანონპროექტი ითავლიწინებს აღნიშნული პირების პრეზიდენტის მიერ დანიშვნის პრინციპის შენარჩუნებას, ამავე დროს თვითმმართველობის უმდაბლეს (მუნიციპალურ) დონეს, სადაც მერების არჩევითობის პრინციპი კანონითაა გარანტირებული, რეალურად არავითარი უფლებები არ გააჩნია. ამ დონის ბიუჯეტი მიზერულია და ხშირად ადგილობრივი აპარატის შენახვის ხარჯებსაც ვერ ფარავს.

ხელისუფლების მთავრი არგუმენტი ამ შემთხვევაში არის ის, რომ არჩევითობის შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ანკლავები ცენტრალური ხელისუფლების კონტროლიდან გავლენ. ამავე დროს მიზანშეუწონლადაა მიჩნეული ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პრობლემის წინწამოწევა მანამ, სანამ არ იქნება აღდგენილი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

ოპოზიციური პარტიები და არასმათავრობო ორგანიზაციები ამ არგუმენტებს იქით ხედავენ ცენტრალური ხელისუფლების სურვილს, შეინარჩუნოს სრული კონტროლი ფორმალურად არსებულ თვითმმართველობებზე. ამავე დროს, ვინაიდან დანიშვნითი სისტემის შენარჩუნება

კორუფციისათვის საკმაოდ ძლიერ სტიმულს შეიცავს, მთავრობის უმაღლეს ეშელონებში არ შეიძლება არ არსებობდეს "გემრიელი ლუკმის" ხელიდან გაშვების შიში.
აღნიშნული დისკუსია ფაქტიურად 2001 წლის აპრილ-მაისის მიჯნაზე დაიწყო და საფიქრებელია, რომ კულმინაციას ნოემბრისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მომენტისათვის მიაღწევს.
8. არჩევნებისა და ძალაუფლების თემას აგრძელებს ასევე ბოლო დროს დაწყებული დისკუსია იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიცემის საკითხთან დაკავშირებით.
1995 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებიდან მოყოლებული, იძულებით გადაადგილებული პირები მონაწილეობენ მხოლოდ პრეზიდენტისა და ნაწილობრივ, საპარლამენტო (ხმას აძლევენ მხოლოდ პროპორციული სისტემით მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს) არჩევნებში. მათ ეკრძალებათ როგორც პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღება.
1998 წლის ადგილობრივი არჩევნების პერიოდში იძულებით გადაადგილებულ პირთა რამდენიმე წარმომადგენლის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი, რომლის თანახმადაც მომჩივანი მხარე ითხოვდა აღნიშნულ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. საქმის განხილვა რამდენიმე წლით გაჭიანურდა. ამ პერიოდში საქართველოში ჩატარდა მორიგი საპარლამენტო (1999) და საპრეზიდენტო (2000) არჩევნები.
საბოლოოდ იძულებით გადაადგილებულ პირთა სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული. აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები 2001 მაისიდან იწყებენ იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის კამპანიას, რომლის მიზანიცაა ამ უკანასკნელთათვის სრული საარჩევნო უფლების მინიჭება.
რამდენად აქტუალური დებატების თემად იქცევა ეს საკითხი საზოგადოებისათვის, ძნელი სათქმელია. ერთი რამ კი თავიდანვე არის ნათელი, თუ ამ პრობლემამ საზოგადოების ფართო ფენების ინტერესი გამოიწვია, ამ საკითხს ოპოზიცია ხელისუფლების შემდგომი დისკრედიტაციის, ხოლო პოპულისტები - პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად გამოიყენებენ.
9. და ბოლოს, კიდევ ერთი თემა, რომლის გარშემოც ბოლო დროს დაიწყო დებატები, არის გენდერული საკითხი. რამდენიმე ფემინისტურმა ორგანიზაციამ წინ წამოწია კვოტების საკითხი, რომლის თანახმადაც ქალებს საარჩევნო სიებში და პოლიტიკურ პარტიებში ადგილების ფიქსირებული ოდენობა უნდა გადაეცეთ.
აქვე ავღნიშნავ, რომ ეს საკითხი მეტად შეზღუდულ წრეში განიხილება და უახლოეს ხანებში მისი ფართე განხილვის საგნად გადაქცევა არ არის მოსალოდნელი. საფიქრებელია, რომ საზოგადოება სხვა, მისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილებს ყურადღებას.

V. დასკვნები

დასკვნა შეიძლება რამდენიმე თეზისის სახით იქნეს ჩამოყალიბებული:

- ბოლო წლებში მცირდება საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობა საჯარო დისკუსიებში. შეინიშნება საზოგადოებრივი აპათიისა და მთავრობის მიმართ უნდობლობის ხარისხის ზრდა. შემცირდა პოლიტიკური მოთხოვნების რიცხვი, რომელმაც პირველობა სოციალურ მოთხოვნებს დაუთმო;
- ტრადიციული თავდაცვის მექანიზმების ამოქმედების წყალობით ჯერჯერობით ხერხდება სოციალური მღელვარებების თავიდან აცილება. ამავე დროს ძლიერდება პატრიმონიალური ურთიერთობები. გრძელდება ცალკეული სოციალური ჯგუფების სხვა ჯგუფებისაგან იზოლაციის პროცესი. აღნიშნულ ჯგუფებში იკვეთება საკუთარი ინტერესები, ხოლო თვით ჯგუფებს ახასიათებთ სხვა ჯგუფების ინტერესთა აბსოლუტური უგულვებელყოფის ტენდენცია;
- საზოგადოებრივი საქმეებისადმი ინტერესს ავლენს არა საზოგადოების სხვადასხვა ფენები ინტერესთა ჯგუფების სახით, არამედ ინტელექტუალური ელიტა, რომელიც ძირითადად არასამთავრობო სექტორშია თავმოყრილი. ლიბერალური აზროვნების წესი მოსახლეობისათვის სულ უფრო და უფრო შორეული ხდება. საზოგადოების ფართო ფენებში აღნიშნულმა ღირებულებამ დისკრედიტაცია განიცადა;
- საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში გამეფებული პოლიტიკური ინტრიგები, უპრინციპობა, განვითარების საერთო სტრატეგიული გეგმის უქონლობა და კორუმპირებულობის მაღალი ხარისხი აძლიერებს მოსახლეობის უკმაყოფილებას და იწვევს სახელმწიფო პოლიტიკური თუ ეკონომიკური კურსის მოწინააღმდეგეთა რიცხვის ზრდას. ახლო მომავალში ადვილი შესაძლებელია, რომ საზოგადოებაში გამეფებული აპათია რადიკალური რეაქციით შეიცვალოს;
- სახეზეა საზოგადოების თვითიდენტიფიკაციის კრიზისი. ქვეყანაში არ არსებობს ნათელი ხედვა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ინტეგრაცია და რომელი აგენტები უნდა მონაწილეობდნენ ამ პროცესში. აქედან გამომდინარე, არ არსებობს არავითარი მოდელი, რომლის შეთავზებაც უმრავლესობას შეუძლია სხვადასხვა (ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და ა.შ.) უმცირესობებისადმი.

როგორია პერსპექტივები?

ანალოგიური სიტუაციიდან თავის დაღწევის ერთიანი რეცეპტი არ არსებობს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მეთოდებით, სხვადასხვანაირი წარმატებით ახდენენ საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესთა დაკმაყოფილებას. ასე რომ, საქართველოს მოუწევს თვითონ შეიმუშაოს საკუთარი სტრატეგია სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში.

როგორც ცნობილია, საზოგადოების ერთიანობის გარანტს ერთნაირი მენტალობა და ისტორიული გამოცდილება წარმოადგენს. ამ მხრივ საქართველოს საზოგადოებას აქვს საკმაოდ დიდი პლიუსი - მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებისა, ეთნიკურ, რელიგიურ თუ სოციალურ ჯგუფთა წევრებს აერთიანებთ ბევრი საერთო - დაწყებული ტოტალიტარზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული საბჭოური თუ პოსსაბჭოური აზროვნების წესიდან, დამთავრებული გარკვეული ფორმით არსებული, კავკასელთათვის დამახასიათებელი მენტალობით, რომელშიც ამბიციურობას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ამ პროცესებში დასავლეთს მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია. მან შეიძლება ეფექტურად გამოიყენოს აღმოსავლეთ ევროპის (და მ.შ. კავკასიის) ინსტიქტური სწრაფვა ვესტერნიზაციისაკენ და ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს.

ინტეგრაციის პროცესში გასათვალისწინებელია ტრადიციული ღირებულებების როლიც, რომელთა სრულმა უგულვებელყოფამ ეთნიკური ნაციონალიზმისა და სოციალ-რევანშისტული ტენდენციების გაძლიერებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

VI. ბიბლიოგრაფია
References

Afanasiev M.N., *Clientelism i rossiiskaia gosudarstvennost*, Centr constitucionnikh issledovanii moskovskogo nauchnogo obshestvannogo fonda, M., 1997;

Building Sustainable Capacity, NY, 1996;

Clapham C., *Private Patronage and Public Power: Political Clientelism in the Modern State*, 1982;

Constitution of Georgia, Tbilisi, 1995;

Crozier M., *The Bureaucratic Phenomenon*, Chicago, 1964;

Eisenstadt S.M., *Political Clientelism, Patronage and Development*, LA, 1981;

Eisenstadt S.M., Roniger L., *Patrons, Clients and Friends, International Relations and the Structure of Trust in Society (Themes in the Social Sciences)*, Cambr., 1984;

Eisenstadt S.M., *Socialism and Tradition*, S.M. Eisenstadt (Ed.);

Eisenstadt S.M., *The Protestant Ethic and Modernization: A Comparative View*, 1996;

Fridrich C., Bzezinsky Z., *Totalitarian Dictatorship and Autocracy*, Cambr., 1965;

Fromm E., *Begstvo ot svobodi*, M., 1989;

Gelner E., *Natsii i natsionalizm*, M., 1991;

Georgia Profile, CIPDD Press, Tbilisi, 1996, No. 6-12, 1997, No. 1-10;

Georgian Chronicle, Monthly bulletin, CIPDD Press, Tbilisi, 1993-1998;

Georgian Economic Trends, Tbilisi, 1997-1999;

Human Development Report - Georgia, UNDP, Tbilisi, 1995-2000;

Isin E.F., Wood P.K., *Citizenship and Identity*, L., 1999;

Israel A., *Institutional Development: Incentives to Performance*, J.Hopkins University Press, Baltimore, 1987;

Jensen D.N., *Patrimonialism in Post-Soviet Russia*, 1997;

Kikabidze K., Losaberidze D., *Institutionalism and Clientelism in Georgia*, Discursion Papers, UNDP, Tbilisi, 2000, #3;

Kymlicka W., *Three Forms of Group-Differentiated Citizenship in Canada*;

Laws and Legislative Acts of Georgia, English Version, DIKKE International LTD, Tbilisi;

Leiken R.S., *Controlling the Global Corruption Epidemic*, ICGFM Digest, Vol. VIII, No 1, 1997;

Losaberidze D., *Problem of territorial Arrangement of Georgia*, Societies in Transition, 1, Moldova and Georgia, Tbilisi, 2001;

Losaberidze D., *Regional Policy of Georgia*, Ethnoregional Policy of Armenia and Georgia, Proceedings of the International Conference, Yerevan, 1999;

Losaberidze D., *Self-Government in Georgia (Development Trends)*, Tbilisi, 1998;

Losaberidze D., *The Problem of Nationalism in Georgia*, Brussels, 1998;

Marshall T.H., *Citizenship and Social Class*;

Metoduri dokumentatsia, proekti "sakhelmtsifo martvis sistemis srulqofa demokratiuli mmartvelobis ganvitarebisatvis", UNDP and Georgian Government, Tbilisi, 1998;

Nodia G., *Nationalism and the Crisis of Liberalism*, Europe's New Nationalism, NY, Oxford, 1996;

Nodia G., *Republic of Georgia*, NIT 2001 Report (in print);

Nodia G., *Umravlesoba da umciresobebi kartul sazogadoebashi*, 2000 tslis aprilshi gudauris samecniero konferenciaze tsakitkhuli mokheneba;

Nort D., *Institucionalnie izmenenia: ramki analisa*, Voprosi Ekonomiki, 1997, #3;

Parsons T., *Sistema sovremennikh obshestv*, M., 1998;

Political System in Georgia, CIPDD Press, Tbilisi, 1998;

Rabaut L.S., *Nepotism, Employment and the Law*, Warner Norcross & Judd LLP, Attorneys at Law, 1997;

Rigby T.N., *Political Elites in the USSR: Central Leaders and Local Cadres from Lenin to Gorbachev*, T.N.Rigby (Ed.), 1990;

Roniger L., Ayse Gunes-Ayata (Ed.), *Democracy, Clientelism, and Civil Society*, 1994;

Sakartvelos parlamentis utskebebi, Tbilisi, 1992-2000;

Sakartvelos respublikis uzenaesi sabchos utskebebi, Tbilisi, 1990-1991;

Schmidt S.W., *Friends, Followers, and Factions: A Reader in Political Clientelism*, S.W.Schmidt (Ed.);

Veber M., *Protestantskaia etika i dukh capitalisma*, izbran. proizv., M., 1990;
Voslenski M., *Nomenclatura, gospodstvuiushi class SSSR*, Leningrad, 1984;
Willerton J.P., *Patronage and Politics in the USSR*, Soviet and East European Studies, No 82, 1992;
Wright A., Beyond the Patronage State.